ოქმი:**ო12. 3723298001**

თარიღი:**25/10/2023**

ოქმი № 17

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომის

2023 წელი, 23 ოქტომბერი
ქ.ოზურგეთი
13.00 საათი

თავმჯდომარეობდა: ქ. ხომერიკი- მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე
ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: ქ. ვასაძე, ნ. ნადირაშვილი,ხ. ცერცვაძე, ვლ. ხავთასი, ნ. ღაჟონია, მ. ვაშალომიძე, ნ. ჭანიშვილი, გ. სირაძე, ე. გორდელაძე, ხ. თავდიშვილი, ი. თუთბერიძე.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1.“ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე სოციალური და სამედიცინო დანიშნულების ინფრასტრუქტურული ობიექტების მდგომარეობის შესწავლისა და განხილვის შესახებ.

2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ მოქალაქეთა სამედიცინო დახმარების პროგრამის განხორციელების შედეგების განხილვა

.მომხსენებელი: ქ. ხომერიკი

თანამომხსენებელი: მ. ცელაძე

სხდომის თავმჯდომარემ, ქ. ხომერიკმა კომისიის წევრებს გააცნო მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე სოციალური და სამედიცინო დანიშნულების ინფრასტრუქტურული ობიექტების მდგომარეობა და მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ მოქალაქეთა სამედიცინო დახმარების პროგრამის განხორციელების შედეგები.

თანამომხსენებელმა,მ.ცელაძემ ისაუბრა მოქალაქეთა სამედიცინო პროგრამების განხორციელების შესახებ. კერძოდ, პროგრამიდან სამედიცინო მომსახურებისთვის

(ოპერაცია, მკურნალობა) დახმარება გაეწია 1472 მოქალაქეს.

აქედან მედიკამენტოზური მკურნალობის დასაფინანსებლად- 972 მოქალაქეს, ფარმაცევტულ დაწესებულებაში ჩაირიცხა 97200ლარი,ხოლო 500 მოქალაქეზე გაიცა და დაფინანსდა 143291 ლარის ღირებულების საგარანტიო წერილი. 2023

წლის 9 თვის მდგომარეობით, გაიხარჯა 240491 ლარი

კომისიის წევრებმა იმსჯელეს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და

გადაწყვიტეს:

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები მიღებულ იქნას ცნობად.

ქეთევან ხომერიკი

განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი